ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

იპოთეკური სესხის ხელშეკრულება

ხელშეკრულების გაფორმების თარიღი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული პირველი X თვის (განისაზღვრება ინდივიდუალურად) განმავლობაში, შემდეგ - ინდექსირებული.
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: X% (განისაზღვრება ინდივიდუალურად) პირველი - X თვის (განისაზღვრება ინდივიდუალურად) განმავლობაში; შემდეგ: ევროს 6 თვიან EURIBOR-ის განაკვეთს + X% (განისაზღვრება ინდივიდუალურად), მაგრამ არანაკლებ X%-ისა (განისაზღვრება ინდივიდუალურად) და არაუმეტეს X%-ისა (განისაზღვრება ინდივიდუალურად).
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: X% (განისაზღვრება ინდივიდუალურად).

  კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება იმ დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსის ოდენობა უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი): საკრედიტო ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად.
- ვადის ბოლოს შენატანი: (განისაზღვრება ინდივიდუალურად).
  შენატანები შეიცვლება EURIBOR-ის განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.
- კრედიტის გაცემის საკომისიო: განისაზღვრება ინდივიდუალურად
- უზრუნველყოფის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯი: განისაზღვრება ინდივიდუალურად
- უზრუნველყოფის ხელშეკრულების გაუქმების რეგისტრაციის ხარჯი: განისაზღვრება ინდივიდუალურად
- კრედიტის ათვისებასთან დაკავშირებული ხარჯი (კრედიტის გადარიცხვის ან/და განაღდების საკომისიო): X ლარი (განისაზღვრება ინდივიდუალურად).
- დაზღვევის მართვის საკომისიო: განისაზღვრება ინდივიდუალურად

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა: X ევრო (განისაზღვრება ინდივიდუალურად).
- მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: X ევრო (განისაზღვრება ინდივიდუალურად).
- კრედიტის ვადა: X წელი (განისაზღვრება ინდივიდუალურად).
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: კლიენტის მიერ საკრედიტო ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
- კლიენტი უფლებამოსილია, ვადაზე ადრე დაფაროს კრედიტი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიო (მსესხებლის კუთვნილი ან მესამე პირის სახსრებით): გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2% (განისაზღვრება ინდივიდუალურად); კრედიტის რეფინანსირების (გარდა შიდა რეფინანსირებისა) საკომისიო: გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2% (განისაზღვრება ინდივიდუალურად). ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ზემოთ მითითებული ნებისმიერი საკომისიოს ოდენობა განისაზღვრება 0,5%-ით, გარდა იმ შემთხვევ(ებ)ისა, თუ ზემოთ აღნიშნული შესაბამისი საკომისიოს განაკვეთი ნაკლებია მითითებულ განაკვეთზე. თუ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, კრედიტის საერთო ვადიდან გამომდინარე, საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე რჩება 12-დან 24 თვემდე პერიოდი, მაშინ ამ პუნქტში მითითებული ნებისმიერი საკომისიოს იქნება 1%, ხოლო, თუ რჩება 6-დან 12 თვემდე პერიოდი - 0,5%, გარდა იმ შემთხვევ(ებ)ისა, როდესაც ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდისთვის გათვალისწინებული შესაბამისი საკომისიოს განაკვეთ(ებ)ი ნაკლებია აღნიშნულ განაკვეთ(ებ)ზე. გარდა ამისა, ამ პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი საკომისიოს ოდენობა შეადგენს 0%-ს, თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი. თუ კრედიტის ძირითადი თანხის ან/და მასზე დარიცხული

სარგებლის დაფარვისთვის გათვალისწინებულია საშეღავათო პერიოდი, პირველ რიგში სრულად იფარება საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული სარგებელი.

- ვადაგადაცილების ჯარიმა: მიმდინარე დავალიანების X% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თუმცა არაუმეტეს სესხის ნარჩენი ძირი თანხის 0,27%-ისა; ყოველი შენატანის პირველ ვადაგადაცილებულ დღეზე დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს მინიმუმ X ლარს. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს კლიენტის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
- მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობების „3.8.“ პუნქტით დადგენილი წესებისა და პირობების გათვალისწინებით. ან

მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის N32/04 ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მიხედვით.

ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! საჯარო ინდექსის ოდენობის ცვლილებამ შესაძლოა შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს. ინდექსის ოდენობის შესაძლო 3 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში გაანგარიშებული:

- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს: წლიურ X%-ს (განისაზღვრება ინდივიდუალურად).

- ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად განახორციელოს ცვლილებები ხელშეკრულებაში, რის შესახებაც კლიენტს ეცნობება წერილობითი ფორმით / ელექტრონული ფოსტით / ინტერნეტბანკით / მოკლე ტექსტური შეტყობინებით, შემდეგი ვადების დაცვით:
  - ხელშეკრულების თავსართში მოცემული მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში - ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე;
  - ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილების ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – ცვლილებამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე;
  - კლიენტის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომის გამო პირობების ცვლილების შემთხვევაში - შესაბამისი ცვლილების განხორცილებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
- მსესხებელს უფლება აქვს ბანკში წარადგინოს პრეტენზია ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიას განიხილავს მომხმარებლის გამოცდილების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება.

უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული:

- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს: X%-ს (განისაზღვრება ინდივიდუალურად).

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406.

საკრედიტო ხელშეკრულება
(ხელშეკრულების ძირითადი პირობები)

თარიღი

ერთი მხრივ, **სს "ბაზისბანკი"** (შემდგომში **"ბანკი"**) და მეორე მხრივ სახელი, გვარი (შემდგომში **„კლიენტი“** ან **"მსესხებელი"**), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. საკრედიტო ხელშეკრულების (შემდგომში **„საკრედიტო ხელშეკრულება“** ან **„ხელშეკრულება“**) საფუძველზე, ბანკი მსესხებელს აძლევს სასყიდლიან კრედიტს სესხის ფორმით, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული კრედიტი, გადაიხადოს დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით (შემდგომში **„საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობები“** ან **„ძირითადი პირობები“**) განისაზღვრება საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი/არსებითი პირობები (კრედიტის მოცულობა, ვადა, საპროცენტო სარგებელი, კრედიტის გამოთხოვისა და საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები და ა.შ), ხოლო სხვა პირობები რეგულირდება საკრედიტო ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით (შემდგომში **„სპეციფიკური პირობები“**), რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე https://bb.ge/docs/CreditSpecPirobebi.pdf და წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მხარეთა შეთანხმებით, სპეციფიკური პირობები შესაძლებელია ასევე მატერიალური სახით დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას და დამოწმდეს მხარეთა ხელმოწერებით.

მუხლი 2. კრედიტის ძირითადი პირობები

2.1. მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე შესასრულებელი ვალდებულებების ძირითადი პირობებია:

- **კრედიტის ტიპი:** იპოთეკური სესხი.
- **კრედიტის თანხა (მთლიანი მოცულობა):** X ევრო (განისაზღვრება ინდივიდუალურად). ამასთან, კრედიტის მთლიანი თანხიდან მსესხებლის მიერ მისაღები/გასატანი (ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი) თანხის ოდენობა შეადგენს X ევროს (განისაზღვრება ინდივიდუალურად).
- **მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:** X ევრო (განისაზღვრება ინდივიდუალურად).
- **კრედიტის ვადა:** X წელი (განისაზღვრება ინდივიდუალურად).
- იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის ძირითადი თანხის და/ან დარიცხული სარგებლის დაფარვებისთვის გათვალისწინებულია საშეღავათო პერიოდ(ებ)ი, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ასახული იქნება გრაფიკში. საშეღავათო პერიოდის განმავლობაში კრედიტზე სარგებლის დარიცხვა ხორციელდება ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ამასთან, გრაფიკით განსაზღვრული შენატანები მოიცავს საშეღავათო პერიოდში დარიცხულ სარგებელსაც (შესაბამისი პროპორციით). მსესხებლის მიერ კრედიტის სრულად, ან ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვის/შემცირების, ან რეფინანსირების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, პირველ რიგში დაფაროს საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული სარგებელი სრულად.
- **კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:** ფიქსირებული პირველი X თვის (განისაზღვრება ინდივიდუალურად) განმავლობაში, შემდეგ - ინდექსირებული.
- **კრედიტის საპროცენტო განაკვეთი:** წლიური X% (თვეში შეადგენს X%-ს) (განისაზღვრება ინდივიდუალურად) პირველი X თვის (განისაზღვრება ინდივიდუალურად) განმავლობაში; აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საპროცენტო განაკვეთის ფორმირება ხდება შემდეგი წესით: ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან X თვის (განისაზღვრება ინდივიდუალურად) ამოწურვის მომენტში, ევროსთვის დადგენილ 6 (ექვსი) თვიან EURIBOR-ის (Euro Interbank Offered Rate) განაკვეთზე[1] (შემდგომში **„საბაზისო განაკვეთი“**) ფიქსირებული საპროცენტო კოეფიციენტი - X%-ის (განისაზღვრება ინდივიდუალურად) (შემდგომში **„საბაზისო განაკვეთის დანამატი“**) დამატებით. ინდექსირებულ განაკვეთზე გადასვლამდე არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე ბანკი აცნობებს კლიენტს აღნიშნულის თაობაზე, საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმით. მას შემდეგ, რაც კრედიტის საპროცენტო განაკვეთი გახდება ინდექსირებული, კრედიტის საპროცენტო განაკვეთი ყოველ ჯერზე ავტომატურად იცვლება (გაზრდის ან შემცირების თვალსაზრისით) EURIBOR-ის განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე, კერძოდ, ყოველი წლის თებერვლისა და აგვისტოს თვეებში, ბანკი ცალმხრივად (მსესხებელთან წინასწარ შეთანხმებისა და მისი დამატებითი თანხმობის გარეშე) ახდენს კრედიტის საპროცენტო განაკვეთის გადახედვას მისი შემცირების ან გაზრდის თვალსაზრისით, იმავე წლის იანვრისა და ივლისის თვეების ბოლო დღეს ევროსათვის გამოქვეყნებული უახლესი EURIBOR-ის განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, თუმცა იმ პირობით, რომ საპროცენტო განაკვეთის ოდენობა არ უნდა იყოს წლიურ X%-ზე (განისაზღვრება ინდივიდუალურად) ნაკლები, ხოლო მაქსიმალური განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს X%-ს (განისაზღვრება ინდივიდუალურად). საბაზისო განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში, ბანკი აცნობებს მსესხებელს აღნიშნული განაკვეთს მიერ მიღებული მნიშვნელობის შესახებ, ცვლილებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ერთ-ერთი ფორმით. ამასთან, ბანკი იტოვებს უფლებას, არ შეამციროს საპროცენტო განაკვეთი, თუ მსესხებელი და/ან თანამსესხებელი ნებისმიერი კალენდარული თვის განმავლობაში არ მოახდენს

[1] გაეცანით ინფორმაციას EURIBOR-ის ინდექსის შესახებ ვებ გვერდზე – http://www.global-rates.com/interest-rates/euribor/euribor-interest-6-months.aspx

ძირითადი თანხის შემცირებას ან არის ვადაგადაცილებაში. EURIBOR-ის განაკვეთის არ არსებობის/გაუქმების შემთხვევაში, ან/და იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სავალუტო/ფინანსურ ბაზარზე EURIBOR-ის ინდექსს აღარ ექნება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არსებული დატვირთვა/მნიშვნელობა (მათ შორის, ბანკის მიერ სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტ(ებ)იდან მოზიდული კრედიტ(ებ)ისთვის საბაზისო განაკვეთად განსაზღვრული EURIBOR-ის ინდექსის სხვა ინდექსით ჩანაცვლების შემთხვევაში), საბაზისო განაკვეთად ჩაითვლება საერთაშორისო სავალუტო/ფინანსურ ბაზარზე აპრობირებული, ბანკის შეხედულებით განსაზღრული სხვა ინდექსი/განაკვეთი, რომელიც, ბანკის შეფასებით, ყველაზე ადექვატური იქნება კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ფორმირების მიზნებისათვის.

- ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ბანკი უფლებამოსილია, ყოველ 3 (სამი) თვეში ერთხელ გადახედოს საპროცენტო განაკვეთს და ცალმხრივად განახორციელოს მისი ცვლილება, ქვემოთ მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას: (ა) ეკონომიკური ვარდნა ან/და ფულად საკრედიტო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების 5-ზე (ხუთზე) მეტი პროცენტული პუნქტით ცვლილება, ან/და თუ ბანკს მნიშვნელოვნად გაუძვირდა უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსის ფასი; (ბ) მსესხებელი ბანკთან შეთანხმების გარეშე სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიმართ იკისრებს დამტებით ვალდებულებებს; (გ) მსესხებელი არღვევს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ბანკის მიმართ წინამდებარე ან/და სხვა ხელშეკრუკლებით ნაკისრ რომელიმე პირობას/ვალდებულებას.
- ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მოქმედების პერიოდში, ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად განახორციელოს საპროცენტო განაკვეთის ცვლილება (მათ შორის, საბაზისო განაკვეთის ჩანაცვლება სხვა ინდექსით ან ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის პირობებით სარგებლის გამოთვლის წესის გაუქმება და საპროცენტო განაკვეთის ფიქსირება), ერთ-ერთი ან რამდენიმე შემდეგი გარემოების არსებობისას: (ა) ბანკის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე EURIBOR-ის ინდექსის/განაკვეთის სხვა ინდექსით ჩანაცვლებისას; (ბ) ბანკის მიერ საკრედიტო რესურსების მიღების და/ან გაცემის ზოგადი პირობების ცვლილებისას; (გ) კლიენტის საკრედიტო რეიტინგის (კლიენტის მიერ სესხის გადახდისუნარიანობა და/ან სესხის მომსახურების კოეფიციენტი) ან/და ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებისას; (დ) ბანკის ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი ტიპის სესხების გაცემისთვის დადგენილი რომელიმე მოთხოვნის (პირობა, კრიტერიუმი) დარღვევისას (გაუარესებისას); (ე) კლიენტის მიერ ბანკის მიმართ წინამდებარე ან/და სხვა ხელშეკრუკლებით ნაკისრი რომელიმე პირობის/ვალდებულების დარღვევისას ან/და არაჯეროვნად შესრულებისას. საპროცენტო განაკვეთის ცვლილება განხორციელდება საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

- **კრედიტის მიზნობრიობა:** განისაზღვრება ინდივიდუალურად.
- **კრედიტის გაცემის ფორმა:** ბანკის მიერ კრედიტის გაცემა ხდება ერთ ეტაპად.
- **კრედიტის დაფარვის გრაფიკი:** მსესხებლის ვალდებულებები იფარება ამ ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად, რომელიც ასევე განთავსებულია და ხელმისაწვდომია კლიენტისთვის ბანკის დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში. გრაფიკი წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გრაფიკის/გრაფიკით გათვალისწინებული შენატანების ცვლილებისას, შესაბამისი ცვლილების ასახვა და აღნიშნულის შესახებ კლიენტის ინფორმირება/შეტყობინება მოხდება საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ფორმით. მსესხებელი უფლებას ანიჭებს ბანკს და თანახმაა, რომ ბანკმა, გრაფიკით გათვალისწინებული შენატანებისა და სხვა ვადამოსული ვალდებულებების (მათ შორის, კრედიტის ძირი, დარიცხული საპროცენტო სარგებელი, საკომისიო, პირგასამტეხლო, ჯარიმა) სრულად დასაფარად საკმარისი თანხები უაქცეპტო წესით ჩამოწეროს მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან და მიმართოს ისინი მსესხებლის შესაბამისი ვალდებულებების დასაფარად. (საჭიროებისას, მოახდინოს თანხის კონვერტაცია ბანკში დადგენილი კურსით).
- **პირგასამტეხლო/ჯარიმა:** გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო მიმდინარე დავალიანების (ვადაგადაცილებული) თანხის X%-ის (განისაზღვრება ინდივიდუალურად) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თუმცა არაუმეტეს სესხის ნარჩენი ძირი თანხის 0,27%-ისა; ამასთან, ყოველი შენატანის განხორციელების პირველ ვადაგადაცილებულ დღეზე დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს მინიმუმ X ლარს. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს კლიენტის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
- მსესხებელი უფლებამოსილია, ვადაზე ადრე დაფაროს კრედიტი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიო (მსესხებლის კუთვნილი ან მესამე პირის სახსრებით): გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2% (განისაზღვრება ინდივიდუალურად); კრედიტის რეფინანსირების (გარდა შიდა რეფინანსირებისა) საკომისიო: გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2% (განისაზღვრება ინდივიდუალურად). ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ზემოთ მითითებული ნებისმიერი საკომისიოს ოდენობა განისაზღვრება 0,5%-ით, გარდა იმ შემთხვევ(ებ)ისა, თუ ზემოთ აღნიშნული შესაბამისი საკომისიოს განაკვეთი ნაკლებია მითითებულ განაკვეთზე. თუ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, კრედიტის საერთო ვადიდან გამომდინარე, საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე რჩება 12-დან 24 თვემდე პერიოდი, მაშინ ამ პუნქტში მითითებული ნებისმიერი საკომისიოს იქნება 1%, ხოლო, თუ რჩება 6-დან 12 თვემდე პერიოდი - 0,5%, გარდა იმ შემთხვევ(ებ)ისა, როდესაც ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდისთვის გათვალისწინებული შესაბამისი საკომისიოს განაკვეთ(ებ)ი ნაკლებია აღნიშნულ განაკვეთ(ებ)ზე. გარდა ამისა, ამ პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი საკომისიოს ოდენობა შეადგენს 0%-ს, თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი. ანგარიშზე კრედიტის სრულად

დასაფარად საკმარისი თანხის არსებობის მიუხედავად, ავტომატურად არ მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა, გარდა ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც ბანკის მიერ მოხდება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ გამოთხოვა.

- მსესხებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობების „3.8.“ პუნქტით დადგენილი წესებისა და პირობების გათვალისწინებით. ან

მსესხებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის N32/04 ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მიხედვით.

- **კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** X% (განისაზღვრება ინდივიდუალურად). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება იმ დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსის ოდენობა უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.
- მსესხებლის გარდაცვალების გამო საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე და/ან მის ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან უზრუნველყოფის საგან(ებ)ის განადგურების რისკ(ებ)ი ბანკის მიერ დაზღვეულია ბანკის შეთავაზებებიდან მსესხებლის მიერ შერჩეულ სადაზღვევო კომპანიაში (განისაზღვრება ინდივიდუალურად). ინფორმაცია დაზღვევის პირობების შესახებ განთავსებულია ბანკის ინტერნეტ გვერდზე: http://bb.ge/docs/ins.html. მსესხებელი უფლებამოსილია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს ბანკისგან ინფორმაცია დაზღვევისა და მისი პირობების შესახებ.
- **საკრედიტო ვალდებულებების უზრუნველყოფა:** იპოთეკა, თავდებობა/გირავნობა (განისაზღვრება ინდივიდუალურად).

2.2. მსესხებლის ფინანსური ხარჯი შეადგენს:

- **ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი):** საკრედიტო ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად.
- **ვადის ბოლოს შენატანი** (განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- **კრედიტის გაცემის საკომისიო:** (განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- **დაზღვევის მართვის საკომისიო:** (განისაზღვრება ინდივიდუალურად). საკომისიოს გადახდა ხდება ყოველთვიურად, გრაფიკით განსაზღვრული ულუფებით. ამასთან, ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები ადასტურებენ და მსესხებლისთვის ცნობილია, რომ ბანკი არ ახდენს სადაზღვევო მომსახურების გაწევას და შესაბამისად, დაზღვევის მართვის საკომისიო არ წარმოადგენს სადაზღვევო საქმიანობის კუთხით უშუალოდ ბანკის მიერ გაწეული აქტივობის საფასურს/კომპენსაციას; ბანკი სადაზღვევო მომსახურებას იძენს მსესხებლის მიერ შერჩეული, ხელშეკრულების "2.1." პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტში მითითებული სადაზღვევო კომპანიიდან, იმავე ქვეპუნქტში მითითებული რისკების დაზღვევის მიზნით, ხოლო დაზღვევის მართვის საკომისიო წარმოადგენს ბანკისთვის გადასახდელ კომპენსაციას მსესხებლის მიერ შესაბამისი რისკების დაზღვევით სარგებლობის სათანადოდ უზრუნველყოფისთვის.
- **უზრუნველყოფის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯი:** (განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- **უზრუნველყოფის ხელშეკრულების რეგისტრაციის გაუქმების ხარჯი:** (განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- **კრედიტის ათვისებასთან დაკავშირებული ხარჯი (კრედიტის გადარიცხვის ან/და განაღდების საკომისიო):** X ლარი (განისაზღვრება ინდივიდუალურად).

2.3. საჯარო ინდექსის (საბაზისო განაკვეთის) ოდენობის წლის განმავლობაში შესაძლო 3 (სამი) პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს: წლიურ X%-ს (განისაზღვრება ინდივიდუალურად)

2.4. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება: X%-ს (განისაზღვრება ინდივიდუალურად)

მუხლი 3. სხვა პირობები

3.1. ბანკის მიერ კრედიტი/კრედიტის პირველი ტრანში გაიცემა მას შემდეგ, რაც შესრულდება მისი გაცემისათვის დადგენილი ყველა წინაპირობა, თუმცა, ბანკი უფლებამოსილია, კრედიტი გასცეს შესაბამისი წინაპირობების შესრულებამდეც.

3.2. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს უზრუნველყოფის სხვა საშუალებ(ებ)ის დამატება. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, მსესხებელი ვალდებულია, თავად უზრუნველყოს ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გასაფორმებელი ხელშეკრულებების დამოწმებისა და სათანადო ორგანოში რეგისტრაციის ხარჯების გადახდა.

3.3. მსესხებლის მიერ გადახდილი თანხ(ებ)ით, ბანკის მიმართ დავალიანება დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში სადაზღვევო პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ პირგასამტეხლო/საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ კრედიტის ძირითად თანხაზე დარიცხული სარგებელი, შემდეგ კრედიტის ძირითადი თანხა.

3.4. ბანკში მსესხებლის ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობისას, როდესაც მსესხებლის ანგარიშზე განთავსებული თანხა საკმარისი არ არის ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მსესხებელი უფლებამოსილია, სს „ბაზისბანკის“ სერვისცენტრში წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე, თავად განსაზღვროს ვალდებულებების დაფარვის რიგითობა. მსესხებლის განცხადების

არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი რიგითობით: პირველ რიგში იფარება ვადაგადაცილებაში მყოფი არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები, შემდეგ ვადაგადაცილებაში მყოფი უზრუნველყოფილი ვალდებულებები, შემდეგ ვადამოსული არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები და ბოლოს ვადამოსული უზრუნველყოფილი ვალდებულებები; ამასთან, ერთი და იმავე კატეგორიის ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება დაფარვის მომენტში არსებული ვალდებულების ძირი თანხის ნაშთის კლებადობით, უდიდესიდან უმცირესისკენ.

3.5. მსესხებელი უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ბანკის სერვისცენტრ(ებ)ში და/ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საკონტაქტო რეკვიზიტებზე. პრეტენზიას განიხილავს ბანკის მომხმარებლის გამოცდილების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება. პრეტენზიის მიღების და განხილვის პროცედურა წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და მისი მიღება შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში. ბანკის მიერ პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე სათანადო ფორმით შედგენილი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების დღიდან.

3.6. ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება კლიენტისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე და მოსთხოვოს მას საკრედიტო ვალდებულებების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შესრულება/გადახდა, ხოლო კლიენტის ვალდებულია, შეტყობინებაში მითითებულ ვადაში დააბრუნოს კრედიტის ძირითადი თანხა მასზე დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან/საკომისიოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, მათ შორის, თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობისას: (ა) კლიენტის მიერ არ იქნება გადახდილი გრაფიკით განსაზღვრული შენატანი ან ნებისმიერი სხვა გადასახდელი და აღნიშნული ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში; (ბ) კლიენტი ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იკისრებს ვალდებულებებს მესამე პირების წინაშე და/ან დაირღვა ბანკის მიერ დაწესებული ფინანსური შეზღუდვა; (გ) განადგურდება, დაზიანდება ან ღირებულება შეუმცირდება კლიენტის ვალდებულებათა უზრუნველყოფის ობიექტს(ებს) (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან გაუარესდება თანამსესხებლის/თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფინანსური მდგომარეობა; (დ) კლიენტის მიერ დაირღვევა კრედიტის მიზნობრიობა, ან ამავე ან/და ძირითადი ხელშეკრულებით დადგენილი სხვა რომელიმე პირობა/ვალდებულება ან/და კლიენტი არაჯეროვნად ასრულებს ბანკის მიმართ წინამდებარე ან/და სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრ ვალდებულებათაგან თუნდაც ერთ-ერთს; (ე) ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებდა კლიენტი, აღმოჩნდება არასწორი; (ვ) არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის/თანამსესხებლის ან/და თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფინანსურ ან/და ქონებრივ მდგომარეობაში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს საკრედიტო ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება (ზ) მსესხებლის/თანამსესხებლის ან თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარდაცვალების, უგზოუკვლოდ დაკარგულად, ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად გამოცხადების შემთხვევაში, ან თუ მსესხებლის/თანამსესხებლის/თავდების მიმართ დაიწყება სალიკვიდაციო წარმოება ან გაიხსნება გაკოტრების/გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (თუ მსესხებელი/თანამსესხებელი/თავდები იურიდიული პირია).

3.7. შეუსრულებელ ვალდებულებებზე კლიენტი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასევე გულისხმობს, რომ კლიენტის მიმართ არსებული ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ბანკის მხრიდან შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის იძულების ღონისძიებები, მათ შორის (და არა მხოლოდ):

3.7.1. კლიენტის კუთვნილ უძრავ-მოძრავ ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ყადაღის დადება და/ან შეზღუდვის დაწესება;

3.7.2. კლიენტის რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრში;

3.7.3. კლიენტის მიერ ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის საგან(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალიზაცია შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი წესით. ამასთან, თუ უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარეალიზაციოდ მიქცევის შედეგად სრულად ვერ დაიფარება საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბანკის მოთხოვნა, ბანკი უფლებამოსილია, დარჩენილი დავალიანების დაფარვის მიზნით აღსრულება მიაქციოს კლიენტის ნებისმიერ სხვა ქონებაზე (კლიენტის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე), თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3.8. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებულია მსესხებლის უფლება, საკრედიტო ხელშეკრულების დადებიდან/მსესხებლისთვის მიწოდებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული პროცესი განხორციელდება წინამდებარე პუნქტით დადგენილი წესისა და პირობების გათვალისწინებით.

3.8.1. მსესხებელი ვალდებულია, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ განცხადება წერილობითი ფორმით წარუდგინოს ბანკს ნებისმიერ სერვისცენტრში (ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებულ მისამართებზე) ან დისტანციური მომსახურების არხში (ინტერნეტ ბანკი ან მობაილ ბანკი). მსესხებლის მიერ ბანკში ნებისმიერი სხვა ფორმით დაფიქსირებული შეტყობინება არ განიხილება ნების სათანადო გამოვლენად და არ წარმოშობს ამ მუხლით განსაზღვრულ შედეგებსა და ბანკის საპასუხო ვალდებულებებს.

3.8.2. მსესხებლის მიერ ბანკისთვის ამ ხელშეკრულების „3.8.1.“ პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს და წარმოშობს შესაბამის ვალდებულებებს. საკრედიტო ხელშეკრულება შეწყდება მას შემდეგ, რაც მსესხებლის მიერ სრულად შესრულდება „3.8.3.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, იმავე ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში, „3.8.4.“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

3.8.3. საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის მიზნით, მსესხებელი ვალდებულია, „3.8.1.“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ბანკისთვის მიმართვიდან დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ერთობლივად შეასრულოს შემდეგი ვალდებულებები: (ა) დაუბრუნოს ბანკს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა; (ბ) გადაუხადოს ბანკს კრედიტით სარგებლობის პერიოდში დარიცხული საპროცენტო განაკვეთი/სარგებელი (დაანგარიშებული კრედიტით სარგებლობის დღეების/პერიოდის პროპორციულად); (გ) აუნაზღაუროს ბანკს ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მესამე პირის მიერ გაწეულ/გასაწევ ხარჯებთან; (დ) შეასრულოს ბანკის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი სხვა ვალდებულებები (მათ შორის, დარიცხული პირგასამტეხლო), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.8.4. მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე (გარდა ვადიანი დეპოზიტისა) ამ ხელშეკრულების „3.8.3.“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესასრულებლად საკმარისი (ხელმისაწვდომი) თანხის არსებობისთანავე, მსესხებელი განცხადებით მიმართავს ბანკს ვალდებულებების დასაფარად, „3.8.1.“ ქვეპუნქტში მითითებული ერთ-ერთი ფორმით. მხარეები თანხმდებიან, რომ შესაბამისი ვალდებულებების სრულად დასაფარად საკმარისი თანხის ანგარიშზე არსებობის მიუხედავად, ამ პუნქტით განსაზღვრული განცხადების მიღებამდე, ბანკის მიერ ავტომატურად არ მოხდება თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრა და შესაბამისი ვალდებულებების დაფარვა.

3.8.5. მხარეები თანხმდებიან, რომ „3.8.3.“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მომენტისთვის მსესხებლის ან/და მისი ანგარიშ(ებ)ის მიმართ არ უნდა მოქმედებდეს რაიმე სახის სამართლებრივი შეზღუდვა (მათ შორის, ყადაღა, აკრძალვა, ინკასო და ა.შ.) ან სხვა ისეთი გარემოება, რაც ხელს უშლის/აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მსესხებლის მიერ ვალდებულების შესრულებას. ბანკს არ შეიძლება წაეყენოს პრეტენზია ან დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიღება არ/ვერ ხდება ნებისმიერი ასეთი გარემოების არსებობის გამო.

3.8.6. მსესხებლის მიერ „3.8.1.“ ქვეპუნქტის შესაბამისად ბანკისთვის განცხადების წარდგენის დღიდან, მის მიერ „3.8.3.“-„3.8.4.“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, ასევე, იმავე ქვეპუნქტებით დათქმულ ვადებში ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საკრედიტო ხელშეკრულება რჩება ძალაში და უცვლელად ნარჩუნდება ბანკისა და მსესხებლის ყველა უფლება და ვალდებულება, გრაფიკით გათვალისწინებული შენატან(ებ)ის დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულების ჩათვლით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1. საკრედიტო ხელშეკრულება (ხელშეკრულების ძირითადი და სპეციფიკური პირობები), სესხის დაფარვის გრაფიკთან ერთად ძალაში შედის მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა არ ათავისუფლებს კლიენტს ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული დოკუმენტის სახით, მხარეთა მიერ ხელშეკრულება დამოწმებული იქნება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით ან ელექტრონული ხელმოწერებით, ბანკის დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში ინტეგრირებული, ან ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სხვა პირის მფლობელობაში არსებული ელექტრონული ხელმოწერების პლატფორმის (მათ შორის, შპს "ენჯითი როქით სოლუშენს"-ის, ს/ნ 405432580, მფლობელობაში არსებული პლატფორმის - **Signify.ge**-ის) საშუალებით/გამოყენებით (შემდგომში **"ელექტრონული პლატფორმა"**), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე ელექტრონული ხელმოწერების შესაბამისი პლატფორმის მიერ დადგენილი წესებითა და პროცედურით. ელექტრონული დოკუმენტის სახით მომზადებული და გაფორმებული ხელშეკრულება კლიენტს მიეწოდება ელექტრონულად, მხარეთა შორის შეთანხმებული საკომუნიკაციო არხით ან შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის საშალებით. თუ წინამდებარე ხელშეკრულება მომზადებულია დაბეჭდილი დოკუმენტის სახით, მხარეთა მიერ მისი დამოწმება მოხდება პირადი ხელმოწერებით და მომზადდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მხარეცაა წარმოდგენილი და თითო პირი გადაეცემა ყოველ მხარეს.

4.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით მხარეთა შორის ბანკის დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის ან/და ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით შესრულებული ნებისმიერი ქმედება (მათ შორის, დოკუმენტების ელექტრონული ხელმოწერა), აგრეთვე ელექტრონული ფორმით შედგენილი დოკუმენტაცია და მხარეთა შორის წარმოებული ელექტრონული კომუნიკაცია ატარებს ოფიციალურ ხასიათს, გააჩნია სათანადო იურიდიული ძალა და უნარი, დაშვებულ იქნას მტკიცებულებად, რომელთა საშუალებითაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია შესაბამისი იურიდიული ფაქტების დამტკიცება (მათ შორის, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმების ფაქტის უტყუარობის დადგენა), მათ შორის სასამართლო/საარბიტრაჟო დავის დროსაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.4. მხარეთა შორის შეტყობინება (კომუნიკაცია) ხორციელდება ქართულ ენაზე, წერილობით, ან საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც - ელექტრონული ფოსტა, დისტანციური არხ(ებ)ი (მათ შორის, ინტერნეტ-ბანკი, მობაილ-ბანკი), ან სატელეფონო (სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) შეტყობინება.

4.5. საკრედიტო ხელშეკრულებაში ცვლილებების/დამატებების შეტანა შესაძლებელია: (ა) მხარეთა შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული ან/და ბანკის დისტანციური მომსახურების არხის ან ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით დადებული შეთანხმებით, ან (ბ) ბანკის მიერ, ცალმხრივად, საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რა დროსაც ბანკის მიერ მსესხებელს შეტყობინება ეგზავნება ცვლილებ(ებ)ის ძალაში შესვლამდე არანაკლებ 2 (ორი) კალენდარული თვით ადრე (ხელშეკრულებასა და მის თავსართში მოცემული მნიშვნელოვან პირობებში ცვლილების შემთხვევაში), ან არანაკლებ 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე (საკრედიტო ხელშეკრულების

სხვა პირობების ცვლილების და/ან სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში), საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი ფორმითა და წესით. თუ მსესხებელი არ ეთანხმება ცვლილებას, იგი უფლებამოსილია, ცვლილების ძალაში შესვლამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებების სრულად შესრულებით, სხვა შემთხვევაში, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად, ხოლო ხელშეკრულება შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად. ამასთან, ბანკს არ ევალება მსესხებლის ინფორმირება ხელშეკრულების ისეთ ცვლილებაზე (დამატებაზე), რომელიც ხორციელდება მსესხებლის სასარგებლოდ და უფლება აქვს, ძალაში შეიყვანოს ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე www.basisbank.ge და/ან ბანკის სერვისცენტრებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსებისთანავე, ხოლო კლიენტის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომის გამო პირობების ცვლილების შემთხვევაში, ბანკი აცნობებს კლიენტს შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმით.

4.6. საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილ სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ბანკსა და კლიენტს შორის არსებულ სადაო საკითხებს განიხილავს სასამართლო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.7. ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4.8. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება სპეციფიკური პირობებით, გენერალური ხელშეკრულებითა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მოქმედი კანონმდებლობით.

4.9. თუ წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ბანკსა და რამდენიმე მსესხებელს (თანამსესხებლებს) შორის, ხელშეკრულების პირობები გავრცელდება თითოეული თანამსესხებლის, როგორც სოლიდარული მოვალის მიმართ.

4.10. ბანკის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ.2), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.11. მსესხებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

4.11.1. ჯეროვნად გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულებას, სპეციფიკურ პირობებს (რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა ბანკის მიერ დამოწმებული სახით) და ეთანხმება მათ;

4.11.2. ხელშეკრულებას დებს საკუთარი საჭიროებისათვის და გააჩნია ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება.

4.11.3. ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, ბანკის ან სხვა პირთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან სხვა ნეგატიური გარემოების ზემოქმედების გარეშე.

მუხლი 5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ბანკი: სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკი", საიდენტიფიკაციო კოდი: 203841833, მისამართი: 0103 საქართველო, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N1. ტელეფონი: +995 322 922 922, ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@basisbank.ge, საბანკო საქმიანობის ლიცენზია N173, გაცემის თარიღი 04.11.1993 წ.

კლიენტი, მსესხებელი: (მიეთითება რეკვიზიტები)